საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქეთევან ცინცაძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 1.08.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურა?
დიახ არა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისთვის **ნიკოლოზ მარსაგიშვილის** კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1 აგვისტო, 2024 წელი ქ. თბილისი

2024 წლის 1 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, მხარი დავუჭირე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის **ნიკოლოზ მარსაგიშვილის** კანდიდატურის წარდგენას, შემდეგ გარემოებათა გამო:

კანდიდატის **ნიკოლოზ მარსაგიშვილის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კანდიდატის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული ინფორმაციის და კანდიდატთან ჩატარებული საჯარო გასაუბრების საფუძველზე, მივედი დასკვნამდე, რომ კანდიდატი - **ნიკოლოზ მარსაგიშვილი** სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატი, ჩემს მიერ შეფასდა უმაღლესი შეფასებით - 94 ქულით (94%) (იხ. ქეთევან ცინცაძის - 2024 წლის 19 ივლისის შეფასების დასაბუთება - კანდიდატის ნიკოლოზ მარსაგიშვილის შესახებ).

ამდენად, მითითებული გარემოებების გათვალისწინებით მივიჩნევ, რომ **კანდიდატი - ნიკოლოზ მარსაგიშვილი** სრულად აკმაყოფილებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად საჭირო კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმს და იგი სრულად შეესაბამება ამ თანამდებობას, რის გამოც, მხარს ვუჭერ მისი კანდიდატურის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ქეთევან ცინცაძე